საქ. ძალმარცხენე სოც.-დემ. მარჯვ. პარტია

ერთობა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ერთობა“ ღირს
თვეულად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
საგმოლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 544 შაბათი, აგვისტოს 11 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

გუშინ და დღეს

ჩვენ პოლიტიკურ სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება. რაც ათეული წლებით გამტკიცებულა, ჩამოყალიბებულა და შექმნილა, ის ერთბამ ხერევა და ნადგურდება, ძველის ადგილს ახალი ძალები იპერს, ძველი საქმე და სიტყვა უკვე წასულის საქმედ და სიტყვად იქცევა.

ქართველი ხალხი გათვითცნობიერებულია პოლიტიკურად. მას აქვს ნათელი შემეცნება თავისი ინტერესების. დიდი პოლიტიკური ტეხილები თუ ოღნავად შეაფერხებს მის ალღოს, თორემ არსებითად ვერ შესცვლის, ვერ დაახშობს მის ჯანსაღ მაჯისცემას.

შეიძლება პოლიტიკური პარტია შესცდეს, მაგრამ შეუძლებელია პოლიტიკურად მომწიფებული ხალხი, მასა დიდხნობით შეცდომით ვიდოდეს.

ჩვენმა ეროვნულმა ცხოვრებამ დიდი ტრანსფორმაციები და პოლიტიკური ოპერაციები განიცადა 1905 წ. და განსაკუთრებით 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ. უკანასკნელი წლების პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა ნერვიული, მოუსვენარი და მშფოთარე იყო. ასეთი იყო არა მარტო ჩვენი არსებობის პირობები, არამედ ასეთ ნერვიულ მდგომარეობას განიცდიდა და განიცდის დღეს მთელი მსოფლიო. განსაკუთრებული ინტენსიობა ჩვენში შექმნილი კონიუნქტურისა შედეგი იყო იმ პირობების, რომელიც არსებობდა, როგორც ჩვენი ერის საშინაო ძალთა, ისე განსაკუთრებით საგარეო ძალთა ურთიერთობით.

ძალთა ის ჭიდილი, რომელიც მსოფლიო მაშტაბით არის გამართული, თავისებურ ვითარებას ქმნის ჩვენში, როგორც მსოფლიო ძალთა ურთიერთობის ერთ მნიშვნელოვან კუთხეში.

საქართველოში მრავალი პოლიტიკური ჯგუფი მოქმედებდა—ყველა მათგანი თავის თავს სთვლიდა ხალხისა და ერის მედროშეთ. ყველას ეგონა, რომ მან შეჰქმნა საქართველოს დამოუკიდებლობა, მან მისცა ჩვენს ხალხს სახელმწიფოებრივი ცხოვრება და სხ.

გარეგნულად ყველა ერთად ვმუშაობდით ეროვნული თავისუფლების უზრუნველყოფისათვის, ყველა აცხადებდა, რომ მათი მთავარი, ძირეული ამოცანა ბოლოდ საქართველოს ეროვნული თავისუფლება იყო და სხ.

საბჭოთა წყობილების დამყარებამ ხელ-ახალი გადაჯგუფება მოახდინა პოლიტიკური ძალების. უფრო ნათლად და გარკვევით დაისახა პარტიათა ინტერესები და მიზნები. ისინი, რომელნიც მონოპოლიას აცხადებდენ მუშათა კლასზე და „პროგრამებს“ უმართავდენ ყველა მათ, ვინც შეებრძოლებოდა მუშათა კონტიგენტისათვის, დაუკავშირდენ საგარეო პოლიტიკაში ევროპის რეაქციის მამებს, ხოლო საშინაოში ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს და ბანდიტებს.

ღრმა ცვლილებანი, რომელიც მოხდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, წყობალების რადიკალურად შეცვლის სახით, გამოიწვევდა ცვლილებას პოლიტიკურ პარტიათა შორისაც.

შექმნილ საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო კრიტიკულად მოაზროვნე ელემენტები თანდათან დაახწევდენ თავს ექსორია ქმნილ მთავრობის დაპირებებს და უფრო რეალური თვალსაზრისით განიხილავდენ პოლიტიკურ მომენტს.

მემარჯვენე კოალიციის დაშლა, მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების გამოსვლა იმ ფაქტის ნათელყოფაა, რომ ჯანსაღი და კეთილშობილური ელემენტები, თვით უკიდურესი მარჯვნიდანაც კი, საბჭოთა წყობილების დაცვით ცდილობენ ხალხის სამსახურს.

ჩვენმა პარტიამ გარკვეული და გადაჭრილი სიტყვა უთხრა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს საბჭოთა წყობილების დამყარებისას. ჩვენ იმ თავითვე გარკვეული გვქონდა ის მთავარი დებულება, რომ თუ სახელმწიფოს ნეიტრალობის დაცვა არ მოხერხდებოდა, საქართველოს პოლიტიკური ბედი უნდა დაგვეკავშირებია საბჭოთა რესპუბლიკებთან და არა დასავლეთის იმპერიალისტურ ძალებთან, ეს იყო ჩვენთვის არა მარტო სოციალისტური პრინციპის და რევოლიუციის სამსახურის წინაშე მოვალეობა, არამედ ამავე დროს უაღრესად რეალური პოლიტიკაც, რადგან შავი ზღვიდან საქართველოს ვერავინ მოევლინებოდა და თუ ვინმე იქნებოდა, ის უეჭველად იქნებოდა შავი, დასამარება ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა.

დრ. მთავარი კომიტეტის რეზოლიუცია, რომელიც ფაქტიურად ჩვენი დღევანდელი პარტიის მთავარი კომიტეტი იყო; გარკვევით აღნიშნავდა უარყოფას ყოველგვარი ინტერვენციისა, მილიტარულ გამოსვლებისას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვდა თანამშრომლობას განსაზღვრულ პირობით, რაც წარმოადგენდა ეროვნულ თავისუფლების დაცვას, საქართველოს მშრომელი ხალხის სუვერენობას და სხ.

განვლილი დრო და პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობა მას შემდეგ ამართლებს ჩვენი პოლიტიკის სისწორესა და სისაღეს დღეს არა თუ მენშევიკური პარტიის მუშური შემადგენლობა, არამედ ნაციონალ-დემოკრატებიც კი უარყოფენ ინტერვენციისა და აჯანყების გზას და პარტიას აცხადებენ დაშლილად.

ჩვენ, მთელი ჩვენი მუშაობის განმავლობაში, არ დაგვიტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ნაციონალური პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებით, რომ არ გაგვერჩია ის ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნულ-სოციალისტური თვალსაზრისით, მრავალ შეცდომას ქონდა და აქვს დღესაც ადგილი განსაკუთრებით ეროვნული საკითხის გადაწყვეტა-გატარებაში. ამ შეცდომების წინააღმდეგ ვიბრძოდით, ვიბრძოლებთ და საქმიანი მუშაობით, მთელი ჩვენი ენერგიის დაჭიმვით შევეცდებით გამოვასწოროთ არსებული დეფექტები.

იყო დრო, როდესაც ყოველგვარ შეურაცყოფას გვიძღვნიდენ, არის დრო, როდესაც სინანულით ექცევიან შეურაცმყოფელნი თავის წასულს და უარყოფენ მას. იქნება დრო, როდესაც ისტორიკოსის მიუდგომელი ხელი დასწერს ფურცლებს დღევანდელი პერიოდის შესახებ და ჯამს გაუკეთებს იმ მონაცემს, თუ ვინ რას შვრებოდა, ვინ რას აკეთებდა და ვინ როგორ ემსახურებოდა საქართველოს მშრომელი ხალხის ეროვნულ და კლასობრივ ინტერესებს.

რაღიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. პ. ცნობის გარშემო

ვარშავა. 8 აგვისტო. პოლონეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება, რუსეთ-პოლონეთის საფოსტო კონვენციის რატიფიკაციის შესახებ. პროექტი შეტანილი იქნება სეიმში.

პარიზი. 7 აგვისტო სენატორ დემანზის მომავალი მოგზაურობა რუსეთში დიდ ინტერესს იწვევს საფრანგეთის ეკონომიურ წრეებში, რომელნიც იმედოვნებენ, რომ რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის მიუდგომელი გამოკვლევა მოაახლოვებს ხელშეკრულების დადებას საბჭოთა მთავრობასთან. ფიქრობენ, რომ უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან, რომლებიც დაამოწმებენ რუსეთის ეკონომიურ აღდგენას, თვალსაჩინო გავლენას იქონიებენ ხელისუფლებასთან მდგომ პირებზე.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ლონდონი. 7 აგვისტო. ინგლისის კონსერვატიული პრესა სდუმს ამბ. რაკოვსკის დანიშვნის გამო მომხდარი ინციდენტის შესახებ. ლიბერალური გაზეთები დაკმაყოფილდენ მხოლოდ ოფიციალურ ცნობის გამოქვეყნებით, რომელიც აღნიშნავს ამ საქმესთან სერიოზულად გაცნობის აუცილებლობას. რადგან რაკოვსკის წინააღმდეგ წარმოდგენილი ეჭვები სერიოზულია. „დეილი ჰერალდი“ (ინგლისის პროფკავშირთა ორგანო) ხედავს ამაში სავაჭრო შეთანხმების ჩაფუშვისათვის ახალ კომპანიის დასაწყისს.

პარიზა. 7 აგვისტო. საფრანგეთის პრესა უკომენტარიოთ იუწყება ინგლის-რუსეთის დიპლომატიურ კონფლიქტის შესახებ რაკოვსკის დანიშვნის გამო. მხოლოდ „ჰიუმანიტე“ ხედავს ინციდენტში ურხარდტისა და საბჭოთა რუსეთის სხვა შეურიგებელ მტრების ოინების შედეგს.

რუსეთი და ჩინეთი

პეკინი. 7 აგვისტო. ადგილობრივი და უცხოეთის გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ჩინეთის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მონაპირე მიწების მისაკუთრებას. „პეკინ-ენდ ტიანზინ ტაიმსი“ (ბრიტანეთის საელჩოს ორგანო პეკინში) აღნიშნავს, რომ მფლობელობის აქტების მისაკუთრება გაამაგრებდა მანჯურიის ხელისფლების პოზიციას ს. ს. რ. კის რწმუნებულის ჩამოსვლამდე და რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის დაწყებამდე, მანჯურიის ხელისუფლების მიზანია ფაქტიურ უპირატესობების შეძენა, ვინაიდან მას არ სურს ხელიდან გაუშვას ესოდენ მდიდარი მხარე. გაზეთი მოაგონებს ჩინეთს რუსეთის მხრით ჩარევის შეშესაძლებლობას, რადგან რუსეთის ინტერესები შელახულია.

გერმანიის ამგეგი

პოლიტ-კური მდგომარეობა გერმანიაში

მოსკოვი. 8 აგვისტო. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პროფინტერნის მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ დაახასიათა პროფინტერნის და კომინტერნის მომხრეთა ტაქტიკა გერმანიაში:

„გერმანიაში სწარმოებს რევოლიუციის ნორმალური მზადება. მასების გალაბაკება, მათი დარბევა და ხოცვა აქტიურ ბრძოლისაკენ მოუწოდებს მილიონ პროლეტარიატებს. პროფინტერნის და კომინტერნის მომხრეები მომავალი ბრძოლისათვის ამზადებენ მასებს და უხსნიან მათ სასტიკ სიმართლეს. ბურჟუაზიას, სოციალ-დემოკრატებთან ერთადუნდა პროვოკაცია გასწიოს რევოლიუციონურ მუშებს შორის გამოსვლის სასარგებლოდ, რომ შემდეგ საშინელი სისხლის ღვრა მოახდინოს. მაგრამ ისინი ამას ვერ იზამენ. გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს, კარგათ ესმის ის, რომ ეხლანელი მომენტი სასარგებლო არ არის გამოსვლისათვის.

ბერლინი. 9 აგვისტო. მთავრობა კუნოს წინააღმდეგ კომპანიას განაგრძობს და ემუქრება კანცლერის სახელის გამტეხ დოკუმენტების გამოქვეყნებით.

პარიზი. 9 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო ბევრ დაწესებულებაში მოსამსახურეებს ჯამაგირს ვერ აძლევენ.

ლონდონი. ინგლისის კაბინეტი და ბანკირთა წრეები იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ფაქტიურათ გერმანიას მარკამ ამ ჟამათ სრულებით დაკარგა ფასი და ის სხვა რაიმე ფულის ნიშნით უნდა იყოს შეცვლილი იმ დრომდი, სანამ შესაძლებელი არ იქნება გერმანიის ფინანსების რეფორმა, ამასთან ერთად აჩვენებენ ავსტრიაზე, რომლის აღორძინება რეპეველათ მოხდება იმის გამო, რომ მასში ხორციელდება ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის უცხოელების მიერ ხელმძღვანელობის გ-წევის პროგრამა.

ბერლინი. კუნომ რეიხსტაგში მოხსენება გააკეთა მთავრობის მოლაპარაკების შესახებ ლონდონთან და რომთან, რომლის მიზანი იყო საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა,

კანცლერმა აღნიშნა, რომ საფუძველი, რომელზედაც ინგლის სურს საკითხის გადაჭრა,—სრულებით ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ისეთ დათმობებს შეიცავს, რომელიც მიუღებელია გერმანისათვის.

კუნომ აღნიშნა, რომ რურის ოკუპაციამდე საფრანგეთის მიერ გერმანიის მთავრობამ ოთხჯერ სცადა საფრანგეთთან შეთანხმება. ოკუპაციის შემდეგ მთავრობა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევით სარგებლობდა, რომ განცხადება გაეკეთებია გარანტიების მიცემის შესახებ და შესაძლებელი ღონის ძიებისათვის მიემართა კონტრიბუციის გადასახდელად. საფრანგეთის მოთხოვნილება პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ უეჭველათ მიუღებელია, რადგან პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტით მთავრობა ხელიდან უშვებს ერთად ერთ იარაღს.

საპონტრიბუციო საკითხი

პარიზი. საფრანგეთის სხვა და სხვა მიმართულების ბურჟუაზიული გაზეთები სასტიკათ ილაშქრებენ პაპა პიი მე-11 წინააღმდეგ მის უკანასკნელ წერილის გამო, რომელშიაც ის ურჩევდა საფრანგეთს ზომიერება გამოეჩინა გერმანიის საკითხში. ლაპარაკობენ გერმანიისა და ინგლისის ინტრიგების შესახებ გაკვრით ლაპარაკობენ აგრეთვე ბელგიის მეფის ნაბიჯებზე, რომელსაც თითქოს უთხოვია პაპისათვის ზომების მიღება გათამამებულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. გაზეთი „ენტრასიჟან“-ი ამბობს, რომ ასეთი რჩევის მოსმენა ბუნებრივი იქნებოდა გერმანიის მხრივ და ვატიკანის რჩევა საფრანგეთისათვის გაზეთს მიუღებლათ მიაჩნია. „ჩვენ გვინდა, ამბობს გაზეთი, რომ პირველ ყოვლისა გავაკეთოთ საფრანგეთის საქმე. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. მეორეს მხრივ ვატიკანში უკიდურესაც უკმაყოფილო არიან პუანკარეს ერთერთ უკანასკნელ გამოსვლით, რომელმაც თავის სიტყვაში პარლამენტში ჩამოთვალა ის სამსახური, რომელიც პაპამ გაუწია საფრანგეთს მადლობის ნიშნად იმისათვის, რომ დაწესებულ იქნა საფრანგეთის საელჩო ვატიკანთან. პაპის წრეები პუანკარეს სიტყვას „არაჩვეულებრივ ცინიკურათ და უტაქტოთ“ სთვლიან.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდიენი“ იტყობინება, რომ მთელი რიგი ნეიტრალურ სახელმწიფოებისა, განსაკუთრებით ჰოლანდია, შვეიცია და ნორვეგია, უკიდურესად შეწუხებული არიან რურის ოკუპაციის გაგრძელებით, რომელიც მათ დიდ მატერიალურ ზარალს აძლევს, და კითხვას აყენებენ ნეიტრალურ სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევის შესახებ გერმანიის პრობლემის განსახილველად და საფრანგეთის მოქმედებისათვის პროტესტის გამოსაცხადებლათ.

ოკუპაციის გარშემო

ბერლინი 7 აგვისტო. გაზეთების ცნობით ფრანგების მიერ ჩამორთმეული კოკსის მარაგი თავდება, საფრანგეთში ჩატანილი ნახშირისა და კოკსის რაოდენობა 80 პროც.-ით შემცირდა. საოკუპაციო ხელისუფლება სცდილობს დანაკლისი შეავსოს ნახშირის მარაგის ჩამორთმევით დომენის ქარხნებისათვის და წინადადებას აძლევს მაღაროების მუშებს იმუშაონ ფრანგების ხელმძღვანელობით. ამ წინადადებას ცივათ ხვდებიან მაღაროს მუშები. ფიქრობენ, რომ ფრანგები შეეცდებიან მოაგვაროონ ნახშირის ამოღება ჩეხიისა და პოლონელ მუშების საშუალებით.

ლონდონი. 9 აგვისტო. „რეიტერ“-ის სააგენტოს ცნობით, რეკლინჰაუზენის რაიონის მაღაროს მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან სურსათ-სანოვაგის გამო,

ბერლინი. 9 აგვისტო. საოკუპაციო მთავრობა შეუდგა რურის ოლქიდან ყველა უმუშევართა გადასახლებას.

რომი. 9 აგვისტო. ბოხუმში ადგილობრივმა მაღაროს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს გაფიცულთა სამაგიეროდ ოკუპანტებმა მოიყვანეს 100 ფრანგი მუშა.

რომი. 9 აგვისტო. რეინლანდში საფრანგეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა რეანლანდის მრეწველებთან შეთანხმება წარმოების წამოყენების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში

სპარსეთი

თეირანი. 7 აგვისტო. მესოპოტამიაში ინგლისელების მოქმედების საპროტესტოდ დღეს დაიკეტა თეირანის ბაზარი—ცენტრი საზოგადოებრივ ცხოვრების.

ოსმალეთი

ნიუ.იორკი. 7 აგვისტო. შეერთებულმა შტატებმა და ოსმალეთმა ლოზანაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთმანეთისათვის დამნაშავეთა გაცემის შესახებ და საერთო მეგობრულ და სავაჭრო ურთიერთობაზე.

უნგრეთში

ვენა. 6 აგვისტო. ჰუნგრეთის რკინისგზელთა გაფიცვა ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ. დაარსდა სამხედრო-საველე სასამართლოები. რკინის გზათა სამართველომ წინადადება მისცა გაფიცულებს განაახლონ მუშაობა 3 დღის განმავლობაში, იმუქრება რა იგი სამსახურიდან დათხოვნით. დაპატიმრებულია საგაფიცვო კომიტეტი და 100-ზე მეტი რწმუნებული მუშები. მუშების მღელვარების გამო, ბეტდენმა (ჰუნგრეთის პრემიერმა) განაცხადა პარლამენტში, რომ ის სთანხმდება მთავრობას მოეწყოს პარიტეტული სატარიფო კომისიები.

უცხოეთი

იტალია.

რომი. 8 აგვისტო. იტალიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დირექციამ გამორიცხა პარტიიდან მე 3-ე ინტერნაციონალის მომხრეები და გაუშვა თავისი სექციები ნეოპალიტანის პროვინციაში.

რომი. 6 აგვისტო. სოციალისტურ პარტიის რომის სექციამ მიიღო მიგრინოს რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს პარტიიდან „ნაღნაროსსა“ ჯგუფის პარტიიდან გამორიცხვის წინააღმდეგ, რომელიც (ჯგუფი) მოითხოვდა კომინტერნთან შეერთებას.

ბულგარეთი.

ვენა. 7 აგვისტო. ბულგარეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა თავის ფარგლებში მიიღოს რუსეთის ლტოლვილთა ახალი პარტია სტამბოლიდან, რიცხვით 10.000 კაცი. ამის გამო ბულგარეთის ოფიციალური გაზეთები მადლობას უცხადებენ რუს ლტოლვილთა ევაკუაციის გამგეს, ერთა ლიგის რწმუნებულს ჯონსონს. „რაბოჩი ვესტნიკ“-ი (ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ორგანოა) აღნიშნავს: „ასეთი რეაქციონური იმიგრაცია უფრო გააუარესებს ბულგარეთის მუშათა კლასის ისედაც მძიმე მდგომარეობასო“.

ფინეთი.

ჰელსინგფორსი. 6 აგვისტო. გაზ. „კანზანტიო“ ვიბორგის ს.-დემოკრატიულ ცენტრის ორ-

განოა; იუწყება, რომ უცნობმა პირებმა სასაფლაოზე რევოლიუციის მსხვერპლთა სამარეს დაადგეს ძეგლი, რომელიც მთავრობის განკარგულებით წინედ აღებული იყო.

საფრანგეთი.

პარიზი. 7 აგვისტო. „ომში ყოფილ მონაწილეთა ასოციაციის“ კონგრესის მოწვევის გამო, ანრი ბარბიუსი გაზ. „იუმანიტეში“ (საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ორგანოში) აღნიშნავს, რომ ასოციაცია მიზნათ ისახავს პრაქტიკულ ბრძოლას ანტიმილიტარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა უნდა აწარმოონ პროლეტარულმა პარტიებმა.

პარიზი. 7 აგვისტო. საფრანგეთის რკინისგზელთა ნაციონალურმა კონგრესმა, რომელიც შედიოდა შრომის უნიტარულ კონფედერაციაში, 52,000 ხმის უმეტესობით 10.000 ხმის წინააღმდეგ მიიღო სემარის რეზოლიუცია კომუნისტურ სინდიკალურ კომისიების შესახებ და დაადგინა შეუერთდეს პროფინტერნს.

პორტუგალია.

ლიფილდი. 7 აგვისტო. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ პორტუგალიის პრეზიდენტად აირჩიეს ლონდონში მყოფი პორტუგალიის ელჩი გომეცი.

საბერძნეთი.

ვენა. 7 აგვისტო. რუმინეთის გაზეთების ცნობით, რადგანაც საბერძნეთი მცირე ანტანტამ არ მიიღო თავის წევრად, იგი სცდილობს იტალიასთან დაახლოვებას და რომში დელეგაციასა ჰგზავნის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

ირლანდია.

ლიფილდი. 7 აგვისტო. დუბლინში გაიხსნა ირლანდიის მუშათა პარტიის ყრილობა. დე-ვალერას მომხრეებმა გამართეს რამდენიმე მიტინგი, რომლებზედაც მოითხოვდენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას.

რომი. 9 აგვისტო. დუბლინში დიდი არეულობა დაიწყო.

ახალი ამბები

— ამას წინად გამოცხადებული იყო, რომ გადაწყვეტილია საღამოს ტეხნიკუმების დაკეტვა და მსმენელების გადაყვანა მუშათა ფაკულტეტებზედ. სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ ეს გადაწყვეტილება არ ეხება პროფ. **შ ნუცუბიძის** საღამოს კურსებს, რომლის რეორგანიზაცია განზრახულია, მაგრამ დარჩება ისევე საღამოს კურსებათ და იარსებებს თავის სპეციალური საშუალებებით.

— **სახალხო მამულების გაერთიანება.** მიწათმოქმედების კომისარიატთან ამა წლის ივლისიდან დაარსდა რესპუბლიკის სახალხო მამულებისა და სასოფლო-სამრეწველო დაწესებულებათა განცალკევებული მმართველობა სახელწოდებით „სახალხო მამულების სამმართველო“, რომელსაც გადაეცა ყველა სახალხო მამულები და აგრეთვე ცენტრალური ღვინის საწყობი ტფილისში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მთავარი საწყობი და ორი მაღაზია სავაჭროდ.

— **ტფილისის ბირჟა.**

სახელმწიფო ბანკის ჩერვონცები	24,500
გირვანქა სტერლინგი	24,400
ჩეკი	22,800
დოლარი ეფექტივი	5,050
ჩეკი	4,65
ოსმალური ლირა	3,500
იტალიანური ლირა	180
ფრანგული ფრანკი	250

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** 30 ივლისს მოხდა გამოცდები მიწადმოქმედების კომისარიატთან არსებულ სკოლაში, სადაც სწავლა დაამთავრა რამოდენიმე კაცმა. ამ ჟამად ადგილკომი აწყობს სკოლას ქართული ენის უცოდინართათვის.

— **მიწა-ტყის კავშირის** პრეზიდიუმის დადგენილებით ყარაიას საცდელი სადგურის გამგეს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები, რომ მუშა-მოსამსახურეთ ეძლეოდეს ყოველდღიურათ ცხელი საჭმელი, ყარაის რაიონის განსაკუთრებულ პირობების გამო.

— **ეკლესიის თეატრად გადაკეთება.** ქუთაისის რაიონის მიწა-ტყის კავშირმა გადასდო ორასი მილიონი მანეთი ქვიტირის ეკლესიის თეატრად გადასაკეთებლად.

— **მოსკოვის გამოფენაზე.** 9 აგვისტოს ბათომიდან გაიგზავნა 12 ვაგონი ექსპონატებით დატვირთული მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედ. ვაგონებს თან წაჰყვა 4 თანამშრომელი.

— **ისტორიულ-გეოლოგიური ექსკურსია.** სვანეთში წავიდა ევროპიელ მეცნიერ-ტურისტთა ჯგუფი საქართველოს ამ კუთხის სიმდიდრის გამოსაკვლევ-შესასწავლად. ამ დღეებში სვანეთშივე მიემგზავრებიან სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ა. შანიძე და ი. მოსეშვილი.

— **ახალქალაქის მაზრაში.** ამ ბოლო დროს კარგი წვიმების გამო ბევრ თემში ნათესის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოსავლის მოკრებას შეუდგებიან არა უადრეს 3 კვირისა.

— **თიანეთის მაზრაში.** პანკისის ხეობაში მავნე მწერებისგან დაიღუპა 100 დესეტინაზედ მეტი ნათესი, ახმეტის თემში 20 პროცენტი ნათესისა; ერწოს თემში კი ნათესები შესამჩნევად დაზარალდნენ წყალდიდობისაგან.

— **მბეჭდავების კლუბში.** დღეს, შაბათს 11 აგვისტოს, მბეჭდავების პროფესიონალურ კლუბში, კავშირთან არსებულ დრამატიულ წრის—ქართული სექციის მიერ, საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება ალ. ყაზბეგის 3 მოქ. დრამა „ყაჩაღი არსენა“. წარმოდგენის დაწყებამდე ამხ. ვანო ბერბერაშვილი გააკეთებს მოხსენებას საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

— **მიწა-ტყის კავშირის** პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამ. კავკ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას, რომ ნავთლუღის ეკონომიის მუშებს ბოსტნიდან ეძლეოდეს მწვანილეულობა და ხილი უფასოთ ძველი წესების მიხედვით და აგრეთვე ორ-ორი გირვანქა საპონი ყოველთვიურად მემანქანეებს შრომის ინსპექტორის დადგენილების თანახმად.

— ამავე კავშირმა მიაქცია ყურაღღება ტფილისის ბაღების მუშების მდგომარეობას და 40 ბაღის მუშა ჩარიცხა კავშირის წევრად. ამის შემდეგ ბოლო მოეღება ხსენებული მუშების ექსპლოატაციას.

— **ლექციები სასოფლო მეურნეობაზედ.** ამ დღეებში ტფილისის მაზრაში მოეწყობა ლექციების კითხვა სასოფლო მეურნეობაზე. ლექციების მიზანია ადგილობრივ მცხოვრებლებს მისცეს რჩევა-დარიგებები მეურნეობის შესახებ.

— **ახალი წიგნი.** კომპ. კ. ფოცხვერაშვილმ დასწერა კრიტიკული წიგნი: „ქართული სალხურ მუსიკა და ქართველ კომპოზიტორები“.

— ბერლინში დაიდგა ქართული წარმოდგენ „სულელი“ მთავარ როლებში ასრულებენ ვერიკო ანჯ ფარიძე და მიხეილ ჭიაურელი, ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც ქართველობა ისე უცხოელებ საღამო კარგათ ჩატარდა.

— **საქონლის ბირჟა.** 10 აგვისტოს წინადადება: წყალსადენის მილები, სახურავის თუნუქი თეთრი ინგლისური თუნუქი, ცეცხლმიუკარებელ აგური რუსეთის ზეთი, ფანჯრის მინები ბემისა ბოთლები, კაუსტიკური სოდა, ხორბალი რუსეთის ლურსმანი, რუსეთის წუმწუმა „წითელი ვარსკვლავი“, „მეტეორი“, „ლენინის სახელობის ვოლკოვი“ და ბერეზინისა. საპონი 1 ხარისხის მარკა „მამალი“ და ტუალეტისა. მაკარონი და ვერმიშელი ცემენტი ნოვოროსიისა ქაღალდი და კარდონი.

— **მოთხოვნილება.** ფქვილი პირველ ხარისხისა, ნედლი ტყავეულობა, ცემენტი პორტლანდისა, შვეიცარული ყველი, რკინის მავთული № 14 თეთრი თუნუქი ინგლისური, შაბიამანი ინგლისური მარილი ქვა ნახიჩევანისა და დაფქვილი, ტომრები ცეილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა“, ხორბალი ყუბანისა და ადგილობრივი. კარდონი № 60. 70, 80 კანიფოლი. ქერი, ზეთი მზერუქვრიტასი და სხვა.

— **მდგომარეობა ბაზარზედ.** 10 აგვისტოს ტფილისის ბაზარზედ წინა დღესთან შედარებით მაზანდა საქონელზედ უცვლელია.

პარტიანი

ს. ისულა (სენაკის მაზრა). თანახმად პარტ-ორგანიზაციის წინა კრების (ივლისის 28) დადგენილებისა, აგვისტოს 1-ს ადგილობრივ შრომის სკოლის ეზოში გაიმართა საღამო-წარმოდგენა. მართალია, სოფლად წარმოდგენის მოწყობა იოლი საქმე არაა.

ტეხნიკური დაბრკოლებანი და ინტელიგენტური ძალების უქონლობა დიდად უშლის ხელს სოფლად კულტურულ მუშაობის წარმოებას. მაგრამ ამხანაგების კოლეკტიურ ნებისყოფამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. სცენა, ბუფეტი, აუქციონი და სხ. გასართობები ლამაზად იქმნა მოწყობილი. სოფლის დიდძალი მშრომელი მოაწყდა წარმოდგენის ადგილს. ბილეთების ფასი მინიმალური იყო: 50 დან 100 ათასამდე. მოწაფეები სრულებით უფასოდ ესწრებოდნენ. ცხადია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ორგანიზაცია სპეკულიაციის მიზნებით არ ხელმძღვანელობდა. საღამოს მოწყობის მთავარი აზრი მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-პოლიტ-პროპაგანდისტური მოტივით ამოიწურებოდა.

დადგმულ იქმნა „ბატონი და ყმა“, დრამა ამ მოქმედებად და ორი თითო მოქმედებიანი კომედია. წარმოდგენა მწყობრად და შნოიანად ჩატარდა. სცენის მოყვარეთ ეტყობოდათ მომზადება და როლების შესაფერისად განაწილება.

დამსწრეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა თავისი მოხდენილი თამაშით ამხ. გრიშა ბედია, დასის ხელმძღვანელი.

საღამოს პროგრამა მთლიანად იქნა შესრულებული. სამწუხაროდ ნაკლსაც ჰქონდა ადგილი საქმე შემდეგში მდგომარეობდა: პირველ განყოფილებაში მოხსენება უნდა წაეკითხა ამხ. გრიშა ფერიას, აუდიტორია დაინტერესებული იყო ამ ნაგის გამოსვლით. მაგრამ ამხანაგის უეცარ აყოფობამ შეგვიშალა ხელი და მოხსენებაც შესდგა.

მოხუცებულობასთან ბრძოლა და გაუმაწვილება.

I.

სქესთა გარდაქმნა. გადედლებული მამლები და გამამლებული დედლები. ტვინის „ეროტიზაცია“. დედობრივი სიყვარული როგორც შედეგი ქიმიურ ნივთიერებათა.

გამოირკვა, რომ მოხუცებულობაში განვითარებული ცვლილებები დაკავშირებულია უმთავრესად სასქესო ჯირკვლების მოქმედების შესუსტებაშეწყვეტაზე, მეცნიერებმა თავისი განახლებული ცდები ამ ჯირკვლების სავსებით გამოცნობისაკენ მიმართეს.

ჩვენ დავინახეთ თუ როგორ იმოქმედა სქესობრივ ნიშნეულებათა განვითარებაზე სასქესო ჯირკვლების იმავე ორგანიზმში გადარგვამ. **პროფ. შტეინახმა** ეხლა მორიგი კითხვა დასვა: რა მოხდება, რომ ერთი სქესიდან, მეორე სქესზედ გადავიტანოთ სასქესო ჯირკვლები, როგორ იმოქმედებს გადატანილ ჯირკვლის გორმონი, მეორე სქესის არსებაზე, გაანვითარებს იმ ნიშნეულობებს, რომელთა მატარებელია ეს სქესი, თუ მას გაუნვითარდება ის სქესობრივი ნიშნეულობანი, რომლებიც დამახასიათებელია იმ სქესის, რომლიდანაც გადმოტანილია ჯირკვლები,—ე. ი. მამაღს რომ დედლის საკვერცხეები გადაურგათ, რა მოხდება, გაუნვითარდება თუ არა მამალს, დედლის გორმონის გავლენისა გამო მამლის ნიშნეულობა, თუ გაუნვითარდება ნიშნეულობა კუთვნილი დედლისა?

პროფ. შტეინახამდის ეგეთი ცდები მოხდენილი იყო, მაგრამ უშედეგონი აღმოჩნდენ. მიზეზი უარყოფითი შედეგებისა ის იყო, რომ ჯირკვლებს ურგავდენ დაუკოდავ ცხოველებს და ცხადია რომ ნორმალურად მომუშავე ჯირკვლები განვითარების შეძლებას არ აძლევდენ გადარგულებს. შტეინახი თავდაპირველად კოდავდა ცხოველებს და მხოლოდ შემდეგ ურგავდა მათ ჯირკვლებს.

შედეგათ ეგეთი ცდებისა იყო—**სქესთა გარდაქმნა.**

ეს განსაცვიფრებელი ცდები შემდეგში გამოიხატებოდა: პროფ. შტეინახი კოდავდა ახალგაზდა მამალ ვირთაგვას, შემდეგ-კი ან კან ქვეშ ან სხეულის სიღრუვეში ურგავდა დედლის საკვერცხეებს. გადანერგილი საკვერცხეები მშვენიერად ვითარდებოდენ, იზრდებოდენ, ამავე დროს-კი მამლის სასქესო აპარატი თან და თან ქრებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ საკვირველი ცვლილებები ხდებოდა მამლის ყოფა-ცხოვრებაში: ის დედლის თვისებებს იღებდა: ვირთაგვას სხეულის წონა უთანაბრდებოდა დედალ ვირთაგვას წონას და არა მამლისას, ჩონჩხი დედლისებრ ჩონჩხს ემსგავსებოდა, ბალანი ურბილდებოდა როგორც დედალს, ძუძუები და ძუძუს კერტები დედლისას ემსგავსებოდენ. ცვლილებები ხდებოდა აგრეთვე ჰსიქიურ მოქმედებაშიაც. ნორმალულ მამალ ვირთაგვას და მახასიათებელია ზოგიერთი რეფლექსები, რომლებიც დამოუკიდებელია სქესობრივ ცხოვრებაზე. მაგ. როდესაც მამალი ვირთაგვა ედევნება დედალს—უკანასკნელი განსაკუთრებულად სწევს და იმაგრებს კუდს (კუდის რეფლექსი), როდესაც კი მამალი ენერგიულ მოქმედებაზე გადადის, რათა ხელთ იგდოს დედალი, უკანასკნელი განსაკუთრებულათ იცავს თავს და უკუაგდებს მამალს (თავდაცვის რეფლექსი). არც ერთი ეგეთი მოქცევა მამალს არ ახასიათებს; ჩვენ შემთხვევაში-კი მამალი ჩამოთვლილ თვისებების მატარებელი ხდება. ოპერაცია მოხდენილ მამლების სიმგვანე ნორმალულ დედლებთან ეგეთია, რომ უკანასკნელნი თავისიანათ იღებენ და ეპყრობიან მათ, როგორც დედლებს. როდესაც ეგეთი ვირთაგვა აღწევს სქესობრივ სიმწიფის პერიოდს, მას ძუძუები და ძუძუს კერტები უნვითარდება, იმდენათ, რომ შეუძლია ძუძუ აწოვოს ძუძუ მწოვარ ახალდაბადებულ ვირთაგვებს (ცხადია არა თავისას, არამედ სხვებისას—დედლებისას) და გამოიჩინოს იგეთივე სინაზე და მოფერებლობა, როგორც იჩენენ მათ მიმართ ნამდვილი მშობლები.

ეგეთ ცხოველებს პროფ. შტეინახმა უწოდა **„გადედლებული მამლები“**.

ანალოგიური ცდები მოხდენილი იქმნა დედლებზედაც. შედეგათ შტეინახმა მიიღო თვისებების უკუშეცვლა: გარეგანი შეხედულება, ჩონჩხი, ბალანი, წონა მიეთანაბარა მამლებისას. **„გამამლებულმა დედლებმა“** დევნა დაუწყეს ნორმალულ დედლებს, შეეტოქენ მამლებს და სხვ.

ამნაირად პროფ. შტეინახმა გამოარკვია, რომ გორმონები მოქმედობენ არა მარტო ქსოვილებზე, არამედ „ეროტიზაციას“ უხდენენ ტვინს, ცხადი შეიქნა აგრეთვე, რომ ეგეთი უმაღლესი თვისებანი როგორიცაა დედობრივი სიყვარული—სინაზე, სიყვარულობრივი ვნება და იჭვიანობა, მეტოქეობა და სხვა, ბოლოს და ბოლოს დამოკიდებული ყოფილა სისხლში შერთულ ქიმიურ ნივთიერებებზე, რომლებიც მუშავდებიან სასქესო ჯირკვლების მიერ.

მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა პროფ. შტეინახი, ეხლა მას ახალი აზრი წამოეჭრა: ნუ თუ ამით განისაზღვრება სქესობრივ გორმონების მოქმედება, ნუ თუ მარტოდ მარტო მეორედ სასქესო ნიშნეულებათა განვითარების მიზეზნი არიან ისანი, მაშ რად ხდება რომ სქესობრივი გამრავლება დაკავშირებულია სიყმაწვილის პერიოდთან, იმ პერიოდთან, როდესაც ორგანიზმი აღსავსეა ძალ-ღონით, როდესაც ყოველი უჯრედი მაქსიმუმ ენერგიის მომცემია, როდესაც უჯრედები ენერგიულად მრავლდებიან და ყოველივე სასიცოცხლო ფუნქცია მომეტებულად ინტენსიურია? ნუ თუ ამ მოვლენებს არავითარი კავშირი არა აქვთ სასქესო გორმონებთან?

ეგებ ეს მოვლენანი შედეგნი იყვნენ ზემოხსენებულ გორმონების მოქმედებისა, ეგებ ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ უმწვავეს საშუალებას, რომლითაც ორგანიზმი ებრძვის და წინააღმდეგობას უწევს მოხუცებულობის შხამებს და შეიძლება ამათზეა დამოკიდებული გაბათილება იმ გორმონებისა, რომლებიც მუშავდებიან სხვა ჯირკვლების მიერ და იწვევენ სიბერე-სიკვდილს? ერთი სიტყვით სასქესო გორმონები აახალგაზრდავებენ თუ არა ორგანიზმს?

აი ამ დასმულ კითხვების გამორკვევას პროფ. შტეინახმა შესწირა ათი წელიწადი და პასუხად მიიღო ის შესანიშნავი შედეგები, რომლებმაც არაჩვეულებრივი სენსაცია გამოიწვია არა მარტო მეცნიერთა შორის, არამედ ფართო საზოგადოებაშიაც.

გორმონთა მოქმედების და სასქესო აპარატის განვითარების პარალელიზმი.

პროფ. შტეინახი თავის გამოკვლევათა და ცდების მოსახდენათ შემდეგ მოსაზრებებით და დაკვირებებით ხელმძღვანელობდა: ახალგაზდა ცხოველს სასქესო აპარატი (რომელიც შემდგარია სასქესო ჯირკვლებიდან, სხვა და სხვა დანართ ნაწილებიდან და გარეგან ორგანოებიდან) მთლიანად ჩასახული აქვს, მაგრამ სუსტათ განვითარებული. როდესაც ცხოველი ხრდას ათავებს, სასქესო აპარატის ნაწილები იწყებენ ზრდას და ყველაზე ბოლოს იღებენ ნორმალულ სახეს. მაგრამ თუ ახალგაზდა ცხოველს, ზრდის დასრულებამდის დავკოდავთ, ამ შემთხვევაში მისი სასქესო აპარატი აღარ ვითარდება და რჩება იმავ დაუსრულებელ მდგომარეობაში; ცხადია ეგეთი მოვლენა გამოწვეული უნდა იყვეს სასქესო გორმონების გამაღიზიანებრივ მოქმედების შეწყვეტის—მოცილების გამო.

თუ ეგეთ ცხოველს ჩავურგავთ მეორე მამლის სასქესო ჯირკვალს, დაუყონებლივ სასქესო აპარატი ნორმალულ განვითარებას იწყებს, და იღებს ეგეთივე სახეს, როგორი სახის მატარებელია მოზრდილ, განვითარებულ ცხოველის სასქესო ორგანოები. ცხადია, რომ ამის მიზეზიც იგივე სასქესო გორმონებია, რომლებსაც იმუშავებენ ჩვენ მიერ ხელოვნურად ჩაგრული სასქესო ჯირკვლები, სახელდობრ ის ნაწილი ჯირკვლებისა, რომელსაც შტეინახმა უწოდა „პუბერტატორული“.

თუ დაკოდილ მამალს მიუხორცებთ არა მთელ სასქესო ჯირკვალს, არამედ მხოლოდ ნაწილს, მაშინ სასქესო ორგანოებიც მხოლოდ ნაწილობრივ განვითარდებიან; და ჩვენ მივიღებთ გარდამავალ სტადიას სრულიად დაკოდილიდან ნორმალულამდე.

ამგვარად შეგვიძლიან ჩავურგათ სასქესო ჯირკვლის პატარა, შემდეგ მეორეს უფრო მოდიდ, მესამეს უფრო მეტი, მეოთხეს კიდევ მეტი და ბოლოს მთელი ნაწილი (ამ მოქმედებით ორგან ვაძლევთ ცოტა თუ ბევრ რაოდენობას გორმ ბისას) ჩვენ მივიღებთ მთელ რიგ სტადიებს დ ფეხურებს სქესობრივ ორგანოთა განვითარ სას.

ეგეთივე შეგვიძლიან ნორმალულ ცხო ამოვუჭრათ სასქესო ჯირკვლის მომცრო თუ მ დო ნაწილი და ჩვენ წინ გაიშლება სურათი ს სო ორგანოების თანდათანობითი შემცირ ე. ი. მოვახდენთ ნაწილობრივ დაკოდვას.

აქედგან შემდეგი დასკვნის გამოტანა ძლება: გორმონთა მოქმედება სავსებით თან ზ მილია სასქესო ჯირკვლებთა ქსოვილების რა ნობაზე, რაც უფრო მოდიდია სასქესო ჯირკ ნაწილი მით უფრო მეტ გორმონების მომცემია

ამასთანავე ეჭვს გარეშეა, რომ გაუნვით ბელი სასქესო აპარატი სრულიად ეთანაბრება ხუცებულთა აპარატს. ეგეთი სითანაბარე კი დეგს გვიკარნახებს: მოხუცებულობაში სასქესო რატის რედუქცია (ზომების შემცირება) გამო ლი უნდა იყოს სასქესო გორმონების ნაკლებ ე. ი. სასქესო ჯირკვლების მოქმედების შესუს სა გამო.

ხოლო ვიცით თუ როგორ მჭიდრო და დებულებაშია ცოცხალ ორგანიზმში არსებული ველგვარი მოვლენანი ურთიერთ შორის, უნდა ფიქროთ, რომ მიზეზი დანარჩენ მოვლენებისა, რომლებს ადგილი აქვს მოხუცებულობაში, გორმონების სიმცირე-ნაკლებობა უნდა იყვეს.

აი ის მოსაზრებანი და დაკვირებანი, მელთა მეოხებით პროფ. შტეინახმა დასვა შემ საკითხი: შეიძლება თუ არა სიბერის მოქმედ შეჩერება ან-და მოხუცებულობაში შესულ ნიზმის გაყმაწვილება სასქესო გორმონების ნიზმში შევლენით, როგორი გზითაც არ უნდა ხდეს ეს?

(გაგრძელება იქნება).

ტ. ჩუბინიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე სენაკის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი ამხანაგები. დილის 6 საათზე საზოგადოება დაიშალა.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: წინეთ წარმოდგენებზე ხშირად აყალ-მაყალს და ჩხუბს, საერთოდ-უწესრიგობას ჰქონდა ადგილი. ამ საღამოზე კი წესიერება იოტის ოდნავადაც არ დარღვეულა. წესრიგს იცავდნენ თვით პარტიული ამხანაგები. ამ მოვლენამ მეტად აღმზრდელობითი გავლენა მოახდინა მთელ სოფელზე. ეხლა უკვე აღარ ეშინიათ „თავქარიან მოჩხუბრების“ და ამბობენ: ნეტავ როდის მოაწყობენ მემარცხენეები წარმოდგენასო. საღამოს წმიდა შემოსავალი გადაეცა თემკომს ორგანიზაციის ფინანსიური საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მორიგი წარმოდგენის გამართვა განზრახულია აგვისტოს 6-სათვის.

პასუხისმგებელი მდივანი **აკაკი კუცია**.

სამშაბათს, 14 აგვისტოს, საქ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კლუბში ამხ. პ. ჭანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქალთა წრისათვის შემდეგ თემაზე: **„ქალის მდგომარეობა უძველეს ხანაში“**. შესვლა უფასოა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საწევრო ბილეთების შემოწმება.

8 აგვისტოდან სწარმოებს პარტიის საწევრო ბილეთების შემოწმება. პარტიის ყოველი წევრი, ჩაწერილი ტფილისის რომელიმე ორგანიზაციაში, ვალდებულია გამოცხადდეს ბილეთის შესამოწმებლად საღამოობით 6—8 საათზედ პარტიულ კლუბში. ბილეთების შემოწმება უნდა დასრულდეს 14 აგვისტომდე.

ტფ. კომიტეტის მდივანი **მ. სეფერთელაძე**.

პასუხის მაგიერ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულია „პატარა შენიშვნა“ ჩემს წერილზედ, რომელიც ეხებოდა „ქალთა ფაშისტურ მოძრაობას“. ეს საკითხი არც შეიძლება საპოლემიკოდ იქცეს და არც მე მსურს წერილის ავტორს უპასუხო. საჭიროა მხოლოდ გაუგებრობის ნათელყოფა, რადგან შენიშვნიდან შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა ვითომც მე საერთოდ **ქალების** წინააღმდეგ ვიყო ამხედრებული.

ავტორი აღნიშნავდა, რომ რისთვის მაინცა და მაინც ქალები გახდა თქვენი ყურადღების ღირსი, როდესაც მუშათა კლასის ნაწილიც კი ფაშისტურ ორგანიზაციაში არისო.

ყურადღების ღირსი ქალები იმიტომ გახდა, რომ ქალთა ფაშისტურ მოძრაობაზე ვწერდი. თავის დროზედ ფაშისტურ მოძრაობაზედაც ვწერდი საერთოდ და მაშინ ქალებისათვის ყურადღება არ მიგიქცევია.

ცხადია მუშათა ნაწილი თავის ინტერესთა წინააღმდეგ იბრძვის, როდესაც ის ფაშისტებთან თანამშრომლობს, მაგრამ მუშათა კლასის ამ ნაწილს ისინი დაპირებებით ატყვილებენ. 8 საათის სამუშაო დღე კიდეც შემოიღეს და სხ. ხოლო წვრილ-ბურჟუაზიულ ქალებს ისინი არაფერს პირდებიან, არ სცნობენ მათ საარჩევნო უფლებას, მათ პოლიტიკურ თანასწორ უფლებიანობას და მიუხედავად ამისა წვრილ-ბურჟუაზიული ქალები მაინც იბრძვიან მათ რიგებში.

ფაშისტური მოძრაობა საერთოდ და ქალთა ფაშისტური მოძრაობა კერძოდ, მთელი რიგი ფაქტორების შედეგია. მე გაკვრით აღნიშნული მქონდა ეს და გამეორება ზედმეტია.

არავითარ ცალმხრიობას ადგილი არ ჰქონია, რადგან ქალთა პოლიტიკური უფლებების უარმყოფელი არასოდეს არ ვყოფილვარ. გამოთქმების სიმკაცრეც სწორედ იმიტომ მქონდა, რომ ფაშისტი ქალები იბრძვიან ქალთა უფლებების წინააღმდეგ.

სერ. ამაღლობელი.



ახალი გამოგონება. ინჟინერებმა კომაროვმა და გიკალლომ ახალი ტელეგრაფის აპპარატი გამოიგონეს, რომლის საშუალებით ტელეგრამების გადაცემა შესაძლებელია რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე. დღემდე არსებულ ერთი აპარატის დეპეშის გადაცემის, მაქსიმალური შესაძლებლობა, არ აღემატებოდა 1.000 ვერსს. ახლად გამოგონილი აპპარატი, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ მოწონებული იქნა.

მსოფლიოს წარმოშობის ახალი თეორიები

რამდენათ წინ წავიდა თანამედროვე ასტრონომია ნიუტონის მიმზიდველობის თეორიიდან და ლაპლასის პირველყოფილი ბუნდოვანების შემჭიდროვების ჰიპოტეზიდან?

„თანამედროვე ფიზიკა—ამბობს ფრანგი ასტრონომი ე. ბელო, იძლევა ძალთა მთელ რიგს, რომელიც სიმძიმეს უარყოფს: კატოდის სხივები, რადიო აქტივობა, მაკსიულ-ბარტოლის დაწოლა, ელექტრო-მაგნიტიური ინდუქცია, რამდენადაც ვითარდება ასტრონომია, იმდენათ მისი ნაწილები თავისუფლება თან და თან ნიუტონის მიმზიდველობის თეორიისაგან; პირველად მას ჩამოართვეს კუდიანი ვარსკვლავის ბოლოს წარმოშობა, რომელიც დღეს ეწერება მზის უკუქცევითი ძალებს; შემდეგ მიჰმართეს მზის კატოლური განსხივოსნებას ჩრდილოეთის ბრწყინვალების და მაგნიტის გავლენის განსამარტავათ; და ბოლოს თანახმად მეცნიერთა არენიუსსა და სისა ამორფიული ბუნდოვანება იბადება მიმზიდველობის ძალისაგან განთავისუფლებული ვარსკვლავების ემანაციით.

მიმზიდველობის ძალა ჰქრება ორ შემთხვევაში; მოლეკულიარული სიჩქარისაგან და სხივოსნობის დაწოლისაგან.

სხივის სიჩქარე პლანეტთა შორის ცარიელ სივრცეში ანალოგიურია კატოლის სხივის სიჩქარესთან კრუკსის მილებში. თუ მეცნიერება ამ უკანასკნელ ხანებში თანახმა იყო გაევლო ანალოგია ვარსკლავთ შორის ქვეყნისა გაზის კინეტიური თეორიასთან, დღეს ანრი—პუანკარე ამტკიცებს, რომ მსოფლიო უფრო წააგავს კრუკსის მატერიალურ სხივებს, ვიდრე გაზს, მაგრამ თუ კი მივიღებთ გაზებს მაშინაც კი მოლეკულიარული სიჩქარე, რომელიც უდრის 1 კილომეტრს წუთში, საკმაოდ დიდია, რომ სძლიოს მიმზიდველობითი ძალა მცირე სიდიდის მნათობისა, და ბოლოს გამოანგარიშებულია, რომ მაგნიტის ქარები, რომელიც გაწვეულია მზის ლაქების, მერილინში გასვლით ვრცელდება მზიდან დედამიწამდე 1000 კილომეტრის სიჩქარით წუთში, რაც შეეხება გასხივოსნების ძალას ის აწარმოებს დაწოლას ბნელ სხეულებზე, რომელიც პროპორციულია ტემპერატურის მე-4 ხარისხთან, თანახმად ამისა მზე უკუაქცევს ნაწილაკებს თავისაგან რაოდენობით 0,001 მილიმეტრისა, მაგრამ ვარსკვლავნი 24000 და მეტი ტემპერატურას უკუაშცევენ ნაწილაკებს უკვე 1 მილიმეტრის რაოდენობით. დიდი conopies-ები ბუნდოვანებისა ირმის გზის ორივე მხარეზე ხსნიან დღეს ამ უკუქცევითი ძალის მოქმედებით: კოსმიური მტვერი ცდილობს შეჯგუფდეს ერთ ადგილას ცარიელ სივრცეში.

ბუნდოვანობა—ტუმანნოსტ.
სხივოსნობა—იზლუჩენიე.
გამოთიშვა—ზახვატ.
უკუღმართი ბრუნვა—ობრატნოე დვიჟენიე.
კოსმიური მტვერი—კოსმაჩ. პილ.
მაგნიტის ქარები—მაგნიტი ვიხრი.
რგოლები—კოლ'ცა.
მოქცევა—პრილივ.
ხახუნი—ტრენიე.
დაუდგრომელი—ნეუსტოიჩივოსტ.

ამაში ჰხედავენ ციკლიურ პროცესს: ბუნდოვანების შემჭიდროვებით, ჩნდება ვარსკვლავები და პლანეტები, მაგრამ კოსმიური მტვერის (ნაწილაკების) ჩამოშორება ვარსკვლავებიდან ჰქმნის ახალი ნისლის ბუნდს.

რჩება თუ არა ძალაში ყოველივე ამის შემდეგ ლაპლასის ჰიპოტეზა?

ანრი პუანკარემ გამოიანგარიშა, რომ საჭირო იქნებოდა რამოდენიმე მილიარდი წლებისა რომ ლაპლასის პირველ-ყოფილი ბუნდოვანი მოძრაობა შექმნილიყო თანასწორი, ეს მთავარია, რადგან ბუნდოვანების სიმკვრივე, მაშინაც კი, როდესაც ის მხოლოდ სატურნამდის აღწევდა, არ აღემატებოდა წყალმბადის სიმკვრივის ერთ მემილიარდედ ნაწილს. როგორ შეეძლო მას ამდენი ხანი შეენარჩუნებია გაზისებური სახე, ისე რომ მეტალიური მისი შარები არ გამქრალიყვნენ? დღეს ყველა ასტრონომები განურჩევლად სთვლიან ბუნდოვანებას ცივ მოვლენათ და მათი სინათლეს ელექტრონით წარმოშობილ მოვლენათ, ეს სრულიად არ ეთანხმება ლაპლასის ცხელ ბუნდოვანებას, რომელიც ინახება რამოდენიმე მილიარდ წელს. საქმე შემდეგშია: უკვე რამოდენიმე წლის წინეთ ვარსკვლავთ შორის სიცივეს უნდა შეემჭიდროვებია ეს ნისლი, ხოლო ამ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სხივოსნობის და ხოლო პირველყოფილი მზისაგან ნაწილაკებზე და უკუგდება მისი. ბოლოს ხაზს უსვამს იმას, რომ პირველი დაწყება შემჭიდროვებისა არის უკუქცევითი და არა მიმქცევითი ძალის.

ამერიკელი მეცნიერის შემდეგ განცხადებას: ძველი რეგულიარული გიპოტეზა ლაპლასისა დღეს ყველა ასტრონომებიდან თავდანებებულია, ისიც ხაზს უსვამს იმას, რომ კოსმოგონია შეიქმნა XX საუკუნის მეცნიერებათ, მხოლოდ ამ 25 წელიწადშია განწესებული აუცილებელი პირობები დააკვირდნენ ამ ნისლს, როდესაც გამოდის ლაპლასის „მოწყვეტის“ თეორიის წინააღმდეგ (მოწყვეტა პლანეტების მზისაგან, თანამგზავრთა პლანეტებისაგან) სი ეყრდნობა ბაბინეს შრომას, რომელიც გამოვიდა ჯერ კიდევ 1861 წ. ბაბინემ გამოიანგარიშა, რომ თუ მზის ნივთიერებისაგან შესდგებოდა პლანეტა როგორც ამას ამბობდა ლაპლასი. მაშინ მისი ბრუნვა მოხდებოდა იმდენად ნელა რომ მას შეძლება არ ექნებოდა წარმოეშვა ცენტრიდან მსრბოლელი ძალა, რომელიც აუცილებელი იყო პლანეტების წარმოშობისათვის. ასე, მაგალითად, გიპოკეტიური კობულიარულ მზის ბრუნვის პერიოდი, რომელიც ავსებს მთელ მსოფლიოს დედამიწას ორმოცამდი უდრიდეს 3,192 წელიწადს; მაშასადამე ცენტრიდან მსრბოლელი ძალა ბრუნვისა ედრებოდა 1:(3192)² ე. ი. ერთი მეათიმილიონედზე ნაკლები იმ ძალისა, რომელიც აუცილებელი იყო, რომ მოეგლეჯა დედამიწა, ხოლო ნეპტუნიზა 305 მილიონზე ნაკლები აუცილებლისა. ამით სი ამტკიცებს ლაპლასის თეორიის შეცდომას, პლანეტები მზეს კი არ მოწყდნენ, არამედ წარმოიშვენ დამოუკიდებლად ძლიერ დაშორებული მზისაგან. ხოლო შემდეგში დაუახლოვდენ მათ, როცა მათი ზედაპირი შეიქმნა საუკუნოების ძალთა წინააღმდეგობისაგან უფრო ნაკლები და ბურთისებური.

ლორდი კელვინი და ჯორჯ დარვინი მთვარეს აწერდენ განსაკუთრებულ წარმოშობვას. დარვინი ხსნიდა მის დედამიწის ფიგურის წონასწორობის მოშლით (რაზრივ ფიგური რავნოვესია ზემლი). მაგრამ ეს მოითხოვს დაშვებას, რომ დედამიწა ბრუნავდა თავის ღერძის გარშემო არა უმეტეს სამი საათისა. ამას გარდა სი უპასუხებს, რომ თუ ადგილი ჰქონდა ასეთი ნაწილის მოგლეჯას მიწისაგან მაშინ მოგლეჯილ ნაწილს უნდა მიეღო ფორმა მთელი რიგი სხეულთა (ფორმუ როიალ ტელეც). სი ამტკიცებს, რომ მთვარე არის პლანეტა, რომელიც დედამიწამ მსოფლიოს გამოსთიშა თავისკენ და სავსებით მისგან დამოკიდებულქნა. ასე და ამგვარად ვარსკვლავ-პლანეტთა სამყარო მზეს არც შვილად მოხვდება და არც შვილისშვილად, არამედ ისინი არიან სრულიად უცხონი, ვინ იცის, საიდან გადახვეწილნი. მთავარი ღერძათ ლაპლასის ჰიპოტეზისა იყო მოძრაობა პლანეტათა და თანამგზავრთა ერთის მიმართულებით და თითქმის ერთ სიბრტყეში.

იუპიტერის სატურნის და ნეპტუნის თანამგზავრთა უკულმათი ბრუნვა არის ლაპლასის ჰიპოტეზის წესისამებრი. ახალი თეორიით ეს ადვილად აიხსნება. სის აზრით ეს თანამგზავრნი მოძრაობდენ უწინ მზის და პლანეტების გარშემო; ჟამთა ვითარებაში უკანასკნელებმა მზეს ისინი გამოსტაცეს და თავისკენ გადაიბიროს. დარვინმა დაამტკიცა თავის ცნობილ მოხსენებაში პერიოდულ ორბიტებზე, რომ ნაწილაკს, სხეულს არ შეუძლია იბრუნოს ორი ცენტრის გარშემო. დროის განმავლობაში ისინიც აუცილებლად ერთ-ერთს მიეკუთვნება (ინვენტირო-ვანნი) მაგრამ პლანეტები იყვნენ დატვირთულნი როგორც ამბობენ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი მეცნიერი ხოლო თანამგზავრნი უკულმითი ბრუნვით იქმნენ მოსპობილნი, დარჩნენ მხოლოდ (როგორც ეს სინამდვილეშია) მზის სისტემის გარეშე სფეროში.

ბუნდოვანი მოწინააღმდეგე ძალა, რომლისგანაც გამოდის სი არის კოსმიური მტვერი. გამოანგარიშებულია, რომ ასი წლის განმავლობაში ეს კოსმიური მტვერი ილეკება დედამიწაზე 1 მილიმეტრის სისქით. ჩვენი მზის სისტემის ნაწარმოების შემდეგ გაფანტული კოსმიური მტვერი შეიქმნა გაცილებით მეტი პროპორციით. სის აზრით ცვალებადი ვარსკვლავები, რომელიც იცვლიან თავის ბრწყინვალებას ხშირად და ახალი ვარსკვლავები. ე. ი. ვარსკვლავები, რომელნიც ჩნდებიან ცის თაღზე მოულოდნელად არიან შედეგნი გარემოს მოწინააღმდეგობით (სოპროტივლენიე სრედი): ცეცხლი, რომელნიც შობენ ამ ვარსკვლავებს არის შედეგი არა ერთი მზის მეორესთან შეჯახების, არამედ მისი და უმნიშვნელო სხეულების შეჯახებით, რადგან ეს „novae“ უმეტეს შემთხვევაში დიდი ხნის არსებობა არ უწერია. გამოთიშვის თეორია არის იგივე ბრძოლა არსებობისათვის ვარსკვლავთა სამეფოში, რასაკვირველია შესაფერი ცვლილებებით, რაც შეეხება ბელოს თეორიას, მას ხსნიან რაოდენიმედ ბელეტრისტიულად როგორც სქესობრივი კოსმოგონით. თვით ავტორი, როდესაც ილაშქრებდა ლაპლასის მონისტურ ჰიპოტეზის წინააღმდეგ და ცვლიდა მას თავისი დუალისტური ჰიპოტეზით („ლაპლასი და მისი სკოლა, როგორც არტილერისტები, რომელთაც მრეწველობაში აქვს ყუმბარის ბრუნვითი თვისება და დაივიწყეს მისი შორს გადავარდნითი თვისება და დაივიწყეს მისი შორს გადავარდნითი თვისება“, ყველა სისტემა თანახმად ბელოსი განვლის ლევარღის ქარების პერიოდს გადავარდნითი მოძრაობით, როცა ძლიერობს დიდი სიჩქარე და უკუგდებითი ძალები და შემდეგ ნიუტონის მიმზიდველობით პერიოდს, რომელიც ამაგრებს მათ) ამბობს: „რასაკვირველია ჩვენ შეგვეკითხებიან, თუ საიდან წარმოიშვა ეს დუალიზმი ბუნდოვანების ქარებისა? მაგრამ რისთვის არსებობენ ისტორიის დაწყებისთანავე სახეობა მამალ დედლობისა? აუცილებელი სპირალური ბუნდოვანება აბარებს მისი წარმომშობი ქარების იერს,—ამბობს ბელოქარი გამოდის მამლათ და ბუნდოვანები კი დედლად. ამ სქესობრივ კოსმოგონიაში.

როგორც ვხედავთ, ბოლო როდესაც უარყოფს ლაპლასს, ვერ იძლევა უფრო დარწმუნებით თეორიას, თუმცა მონიზმის უარყოფის დროს ის საკმარისი არგუმენტით გამოდის, რომ ერთ ერთეულს არ შეუძლია დიფერენციალობა მაშინ, როცა ორ ელემენტის განყოფილებას შეიძლება მიეცეს მრავალმნიშვნელობა, მეორეს მხრივ სიცვერ იძლევა გარკვეულ განმარტებას ამას არსებითად არა აქვს არავითარი კოსმიური განმარტება. ის ხედავს თუ მნათობნი რომელნიც ასე თუ ისე არსებობენ, რარიგ შეჯგუფდენ გვრალ ორბიტებში.

(იზვესტია)

(დასასრული იქნება)

ჩვენ ცხოვრებიდან

„შარშან და წრეულს“.

მთის-პირის უბნის (ასკანის თემშია) მცხოვრებთ მნიშვნელოვანი კითხვა ჰქონდათ გადასაწყვეტი: რამდენიმე თვით უმოქმედოთ გაჩერებული ადგილობრივი ბიბლიოთეკა და კოოპერატიული სავაჭრო უნდა გაეღოთ და აემოქმედებინათ.

კრებაზე მოწვეული ხალხიც გამოცხადდა და სკოლის დარბაზში თავი მოიყარა. ყველამ იცოდა, თუ რისთვის იყვნენ მოწვეულნი და ამიტომაც ხანგრძლივი სჯა-ბაასი აღარ დასჭირდათ, რომ ერთხმად მიეღოთ ურყევი გადაწყვეტილება დაუყონებლივ გაღებულიყო, როგორც ბიბლიოთეკა, ისე კოოპერატიული სავაჭრო, რისთვისაც შესაფერისი კომისიაც აირჩიეს, რომელიც იმედია მალე მოიყვანს სისრულეში კრების გადაწყვეტილებას. მთის-პირელებს ექნებათ ბიბლიოთეკა და კოოპერატიული დუქანი.

— „კი მაგრამ, არა ნაკლები მნიშვნელოვანია ვგონებ კრამიტის დასამზადებელი ქარხნის აღდგენა, რომელიც რამდენიმე წლის უკან ციხის უბანში მოქმედებდა და რაღაცა მიზეზით მუშაობა შეაჩერა“, სთქვა ერთმა.

— „მართალია, მართალი“! იყო ხმები—„საჭიროა ამაზეც ვიფიქროთ“.

— „ამხანაგებო!—დაიწყო ერთმა იქ მყოფთაგანმა—ჩვენ ცოტა გავაკეთეთ და კიდევ მეტი გასაკეთებელი გვაქვს, საჭიროა მეტი ინიციატივა, მეტი საქმიანობა, რომ საბჭოთა მთავრობის შესაფერი მოქალაქენი დავრჩეთ გარემოებაც ხელს გვიწყობს და მთავრობაც, იმედია, არ მოგვაკლებს თავის ყურადღებას.

რომ ვსთქვი, გარემოებაც ხელს გვიწყობს მეთქი, ამის დასახასიათებლათ საჭიროთ მიმაჩნია შევადარო შარშანდელი ზაფხული წლევანდელს გურიაში და ამ შედარებიდან თქვენ ნათლად დაინახავთ, თუ რამდენად გაუმჯობესდა მდგომაოობა:

1) შარშან უაჩაღები გურიის მრავალ კუთხეში ბუდობდენ და საზოგადოებრივ მყუდრო ცხოვრებას არღვევდნენ, წელს კი მშვიდობიანობაა და უაჩაღებზე ლაპარაკიც დაგვავიწყდა.

2) შარშან ზაფხულში დიდი შიმშილობა იყო და, თუ კიდევ შედარებით გურულებმა მშვიდობიანათ ჩაატარეს ეს „ჟამობის“ დრო, უნდა უმადლოდეთ საბჭოთა მთავრობის დახმარებას, რომელიც გვაწვდიდა ხან ხორბალს და ხან სიმინდს დახმარების სახით. წრეულს კი სიმინდის ნაკლებობაზე და სიძვირეზე აღარაფერი გვეთქმის. როდესაც საბჭოთა მთავრობამ პურის ფასი ... ქართველო და საწყობები სავსეა მარაგით, იქ მჭადის სიძვირე თავის თავად მოხსნილია.

3) შარშან პარკის მოსავალი განახევრდა თესლის უვარგისობის გამო, საწყობებიც არ იყო ხეირიანად მოწყობილი და მეპარკეების დაკმაყოფილება ფართლეულობით, თუ ფულით ტეხნიკურად ვერ იყო სასურველად მოწყობილი. წელს კი პარკის მოსავალმა გურიაში ყოველ მოლოდინს გადააჭარბა, პროვოკატორებს და მეჭორეებს კოვზი ჩაუვარდათ ნაცარში, საწყობებიც საკმარისი აღმოჩნდა და მეპარკეების დაკმაყოფილებაც დიდი სიადვილით წარმოებს.

4) შარშანდელ ყურძნის მოსავალს თითო მარცვლებათ დაითვლიდი ხეზე; წელს კი, თუ რამე სტიქიურმა მოვლენამ ხელი არ შეუშალა, ღვინის დიდ მოსავალს უნდა ველოდეთ, ხეები დატვირთულია ჩვენი „ადესაით“. ყანის ნამუშევარსაც დიდებული პარი უჩანს.

5) შარშან კიდევ ბევრი იყო, რომლებიც „ნებით თუ უნებლიეთ“ საბჭოთა მთავრობას მტრულად უყურებდნენ, წელს კი იგივე პირები საბჭოთა მთავრობის მოყვრობას და მასთან ერთი ენის გამონახვას ეძებენ და ამისთვის კრებებსაც იწვევენ.

6) შარშან ეკლესიებში მლოცველები ცრუმორწმუნეობის საკმეველს აკმევდნენ; წელს კი სახალხო სახლები, ბიბლიოთეკები, კლუბები თუ სხვა რამეა შიგ მოწყობილი ან მალე მოაწყობენ. ბევრი ლაპარაკით აღარ დაგლალავთ ამხანაგებო“ და მოყვანილი მაგალითებიც საკმაოდ [გვიჩვენებენ, რომ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამე გამოიცვალა უკეთესისაკენ ჩვენს ცხოვრებაში და საბჭოთა მთავრობის ხელში. ჩვენც მეტი სიხალისით და მონდომებით ხელი შეუწყოთ ჩვენი ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად თავისუფალ ზრდას“.

— „სწორი სიტყვაა, მართალია. მართალი“! მოისმა ხმები პასუხათ.

— „მართლა, მთის პირლების სირცხვილი იქნება ასე ყრუთ გვედგას ჩვენი ეკკლესიის შენობა; გვამბრათში ქე გვაქ სახალხო სახლი მაგრამ პატარაა“...

— „კი, მაგრამ, შეაწყვეტინა სიტყვა ერთმა იქ მყოფთაგანმა, შარშანდელი ზაფხულის ამბავი რო დაზეპირებულივით მომიყევი, ის რატომ არ იცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გუშინ წინასკანის აღმასკომმა მტკიცე გადაწყვეტილება გამოიტანა და ხალხსაც გააცნო კრებაზე: აუცილებლათ ცენტრში გადაიტანოს ყველა დაყრუებული ეკლესიების შენობები და ერთი დიდი სახალხო სახლი ააგოს".

— „მაშ გაუმარჯოს ჩვენი აღმასკომის გადაწყვეტილებას"—წამოიძახა გულმავიწყობაში დაჭერილმა მოლაპარაკემ.

— მით უკეთესი: ინიციატივა აღმასკომისაა, შრომასაც ჩვენ ნუ დავიზარებთ და მალე გვექნება დიდი სახალხო სახლი, კრამიტის ქარხანა, კარგი გზები და ხიდები... ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც ჩვენ მეტად გაგვიადვილებს ცხოვრებას".

ამ ლაპარაკით კრებაც გათავდა. სიტყვები მოვისმინეთ, იმედია მალე საქმესაც დავინახავთ.

Son.

——

ქ. ბორჯომი. ადგილობრივი საკურორტო სამმართველო მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ რაც შეიძლება თავისი კასა გაამდიდროს. მაგ. თითო ვანა ღირს 1 მილიონი მანეთი, ბაღში შესასვლელი ბილეთი 300,000 მანეთი, რაც მოაგარაკეებს მეტად უძნელდებათ. ამავე დროს ეს საკურორტო სამმართველო არაფერს ჰფიქრობს კურორტის სისუფთავეზე, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დასასვენებლად მოსულ ხალხისთვის. მართალია ირწყვება ქუჩები, მაგრამ ისე ხშირად არა, როგორც საჭიროა, რის გამოც მტვერით და ჭუჭყით ივსება ქუჩები.

ადგილობრივ „ერკოპ"-ში ფასები იმდენად დიდია, რომ გაუსწრო ბაზარს. კვირა დღეს სამმართველო ჰკეტავს კერძო ფურნეებს და რესტორანებს, რის გამო მოაგარაკეებს უხდებათ შეიძინონ სურსათ-სანოვაგე ამავე სამმართველოდან მომეტებულ ფასებში.

არ არის დაყენებული ქ. ბორჯომში კარგად არც ცეცხლის ქრობის საქმე. წარსულ კვირაში გაჩნდა შუადღისას ცეცხლი და გადასწვა მთლად ლამაზი და დიდი სახლი ვინმე მედვედიევისა. ხალხი იძულებული შეიქნა დაენგრიათ მთლიანად ეს სახლი, რომ გადაერჩინათ თავი ცეცხლის გაძლიერებისაგან, რამაც იმსხვერპლა ერთი კაცი. რომ ყოფილიყო აქ ცეცხლის მქრობელი რაზმი, ცეცხლს მალე მოუღებდენ ბოლოს და არც კაცის მსხვერპლი მოჰყვებოდა. კარგი იყო ჩვენის აზრით საკურორტო სამმართველოს ეფიქრა ამაზე.

ფასები სურსათ-სანოვაგეზე ზეცაში მიდის. პური გირვანქა 200,000 მან., რძე ბოთლი—400,000 მან., კარაქი—გირვანქა 1.300.000 მან., ყველი—გირ. 600,000 მან. და სხვ.

* *

ადგილობრივ ცენტრალურ სამმართველოში შეხვდებით მეტად მწარე სურათს: გაზეთები უსისტემოდ მოდის, ხან სრულებით არ მოდის და როცა მოდის, ისიც ერთი კვირის ან ორი კვირისაა. შეხვალთ, შეგხვდებათ „ნიანგის" № 4 და „გრდემლის" № 3, როცა ამათი ნუმრები გაცილებით მეტი გამოვიდა ტფილისში.

მარჯანიშვილმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ შაბათს, 4 აგვისტოს, ცის ქვეშ (ეკლესიის გალავანში) დასდგა „ცხვრის წყარო". ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დაიშალა. არ შეიძლება არ ითქვას, რომ მარჯანიშვილი დიდი ტემპერამენტის მქონე რეჟისორია. „ფუენტე ოვეხუნა" ტენდენციურად დიდ სიძნელეს იწვევს და ისიც პროვინციაში, მაგრამ მან გადალახა ეს სიძნელე და არავის არ შეუმჩნევია, რომ „ფუენტე ოვეხუნა" მიდიოდა ბორჯომის სცენაზე.

ერთად ერთი დეფექტი პიესისა ის იყო, რომ ამ საღამოს ზოგიერთ როლებში ჩვენ ვნახეთ სხვა მსახიობები, რომელთაც არ ჰქონდათ შესწავლილი საფუძვლიანად თავიანთი როლი. მეტად სასიამოვნო იყვნენ გ. დავითაშვილი (ფრონდოზო) და თ. ჭავჭავაძე (ლაურენსია). ორივემ ჩინებულად შეასრულეს თავიანთი როლები. არა უშავდარა დ. ჩხეიძესაც (კომანდორი) და ა. ვასაძეს (მენგო).

პარასკევს, 10 აგვისტოს, იმართება საბინინის და ბოკოვას კონცერტი. შაბათს, 9 აგვისტოს, მ. ქორელის დადგმით წარმოდგენილი იქნება შ. დადიანის "გუშინდელნი".

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტი: „ცხვრის წყაროზე" ბილეთების ფასი იყო 1.500.000—300,000 მანეთამდე. „გუშინდელზე" კი გამოცხადებულია ახალი ფასები: 3 მილიონიდან—300.000 მანეთამდე. თუ ყოველ დადგმაზე ასე 100 პროცენტი უმატეს, საზოგადოებას დააფრთხობენ და თვითონ ჩვენ მსახიობებს გაუფუჭდებათ ხასიათი თამაშობისა.

განზრახულია მოეწყოს „ქართველი ინტელიგენციის" და „სურამის ციხის" გმირების გასამართლება.

—ელი.

——

ქალ. ლანჩხუთში. სამ აგვისტოს შალვა ჯანბერიძემ წაიკითხა ლექცია **„დინამიური როდიტანიის აუცილებლობა პოეზიაში და XX საუკუნე"**. თავმჯდომარეობდა ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ლექციის შემდეგ იყო უამრავი შეკითხვები, რომელზედაც ლექტორმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, აღსანიშნავია ასეთი ლექციების კითხვა პროვინციებში, რადგან პროვინცია ჩამორჩენილია ლიტერატურას და განსაკუთრებით ახალს.

დამსწრე.

——

წალვერი. წაღვერს დიდძალი სტუმარი ეწვია. ბავშვებით მთლად დაიტვირთა. ადგილი აქვს უსუფთაობას, რის გამო გავრცელებულია ავადმყოფობა, თითქმის ყველა ბავშვზე მოდებულია „დეზინტერია" აფთიაქის მოხელეთა შემადგენლობა ძლიერ მცირეა და რიგში მდგომ წამლის მიმღები იცდის 13—14 საათს, ხან კი მეტს. მოსალოდნელია გადამდები სენის გავრცელება, თუ ჯანმრთელობის განყოფილებამ არ მიიღო საჭირო ზომები. სახლების მეპატრონეებმა ძალიან გააძვირეს ოთახები.

სურსათის სიძვირე დიდია. ის ვაჟბატონები რომლებიც სრულიად ჯანსაღი არიან და ვერ მოუნელებიათ ფულის მოუგებლად ერთს წუთს დასვენება, მოსულან თებერვალ-მარტში უქირავებიათ მთელი სახლი იაფფასებში მთელი სეზონით თვითონ.

ერთ ოთახს აქირავებენ იმ ფასებში, რამდენსაც მთელ სახლში, 8 — 10 თვალში იხდიან.

მომავალი სეზონისათვის მაინც გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთი მოვლენები.

გ. ჟვანია.

წერილები რედაქციის მიმართ

№ 5 „გრდემლში" მოთავსებული არის ლექსი „დასავლეთი"—ს. ჩიქოვანის მოწერით.

ლექსი მე არ მეკუთვნის.

როგორც ავტორთან დაახლოებულმა ვიცი ლექსი დაწერილია ლეო ჩიქოვანის მიერ.

ახლა მივმართავ ფოთის ახალგაზრდათა კომ-კავშირში (ლექსი იქიდან არის გამოგზავნილი) ლეო ჩიქოვანს შემატყობინოს პრესის საშვალებით საჩქაროთ, შეცდომა თვითონ მოუვიდა თუ რედაქციამ ჩაიდინა.

ეს ცნობა იმისთვის არის საჭირო, რომ ტფილისის ლიტერატურულ აუდიტორიაში ლექსის ავტორათ მე მთვლიან.

პატივისცემით:

ს. ჩიქოვანი.

—:—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება მომცეთ გაზ. „ტრიბუნის" საშუალებით ულრმესი ამხანაგური მადლობა გამოუცხადოთ ძონძირის სცენის მოყვარეთა წრეს საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის ძონძირისულის თემის ორგანიზაციის სახელით, სოფ. ისულში 1-ს აგვისტოს პარტკომის სასარგებლოდ გამართულ საღამოზე მონაწილეობის უსასყიდლოდ მიღების გამო.

პასუხისმგებელი მდივანი:

აკაკი კუცია.

—:—

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: დღემდე პოლიტიკურ პარტიების გარეშე ვიდექი. დღეს სრული შეგნებით, რომ პოლიტიკური უმოქმედობა დაუშვებელია მსურს ვიმუშაო საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში, რომელიც მტკიცედ იცავს ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ნესტორ ბოლქვაძე

—:—

ამხ. რედაქტორო!

1918 წლიდგან ვირიცხებოდი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში. 1921 წლიდან ვარ თანამგრძნობი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია. დღეიდგან ვეწერები ხსენებულ პარტიის წევრად. და მთელი ჩემი ენერგია იქნება დახარჯული მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

ევგ. ჩხეიძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ — ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲩᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ —

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

სოციალურ დაზღვევის ნარჩენის იძულებითი გადახდევინების წესისათვის

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 17 თარიღით და 54 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის ძალით საქართველოს შრომის სახალხო კომისარი, შინაგან საქ. სახ. კომისარი და იუსტიციის სახ. კომისარი ადგენენ:

1. დამზღვევმა კასამ არა უგვიანეს 7 დღისა იმ დღიდან, როდესაც დამზღვეველი გადააცილებს სოციალური დაზღვევის მორიგი წვლილის გადახდის ვადას, უნდა შეადგინოს აქტი ასეთი დამაზღვეველის წინააღმდეგ.

2. აქტში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ვადა, როდემდისაც დამაზღვეველმა უნდა შეიტანოს მთელი გადაუხდელი თანხა, ამასთანავე იგი გაფრთხილებულ უნდა იქნეს, რომ უკეთუ არ გადაიხდის, მის წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ღონისძიება.

3. აქტში აღნიშნული ვადის გასვლისას, უკეთუ დამაზღვეველი ვალს არ გაისტუმრებს, დამზღვევმა კასამ მთელი გადასახდელი თანხა კურსის განსხვავებისა და საურავის ზედდართვით ნარჩენად უნდა ჩაირიცხოს, რის შემდეგ გადახდევინება გადასცეს მილიციის სათანადო ორგანოს იქ, სადაც დამაზღვეველი იმყოფება.

4. გადასახდელის რაოდენობა განისაზღვრება იმ ნარჩენის თანხით, რომლის გადახდაც მოთხოვნილია.

5. რაიონის მილიციის უფროსი, როდესაც იგი დამზღვევი კასისაგან მიიღებს აქტს ნარჩენის შესახებ, მოვალეა არა უგვიანეს 3 დღისა შეუდგეს ნარჩენის გადახდევინებას.

6. უკე თუ დამზღვეველი ნარჩენს არ გადიხდის, რაიონის მილიციის უფროსი მოვალეა:

ა) აღწეროს და შეკრას მენარჩენის უძრავი ქონება, გარდა იმ ქონებისა, რომელიც ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლშია ჩამოთვლილი, გაყიდოს იგი საჯარო ვაჭრობით და აღებული ფულით ნარჩენი დაფაროს:

ბ) აღწეროს და საჯარო ვაჭრობით გაყიდოს მენარჩენის შენობანი;

გ) გადახდევინება მიაქციოს იმ თანხას, რომელიც მენარჩენს ერგება მესამე პირისგან, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებათაგანაც, აგრეთვე იმ თანხას, რომელიც საკრედიტო დაწესებულებაშია სახელდახელო ანგარიშზე.

შენიშვნა: ამა მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნულ თანხებზე გადახდევინების მისაქცევად, რაიონის მილიციის უფროსმა უნდა სთხოვოს სათანადო სასამართლოს გამოტანილ იქნეს შესაფერი დადგენილება.

7. არ შეიძლება აღწერილ და გაყიდულ იქნეს მენარჩენის შემდეგი ქონება:

ა) ზამთარში და ზაფხულში სახმარებლად საჭირო ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საცვალი და ოჯახში სახმარებლად საჭირო სხვა ნივთი.

ბ) სანოვაგე, რაც ოჯახის წევრთა რიცხვის მიხედვით ექვსი თვის განმავლობაში საჭიროა;

გ) სათბობი საქმლის მოსახარშად და სადგომის გასათბობად, რაც ექვსი თვის განმავლობაშია საჭირო;

დ) წარმოების იარაღი და ინსტრუმენტი, რაც საჭიროა მენარჩენის პროფესიონალური საქმისა, ხელობისა, მსუბუქი და შინამრეწველობისათვის, უკეთუ ეს იარაღი და ინსტრუმენტი არსებობის სახსარია და არ წარმოადგენს შრომის საექსპლოატაციოდ სახმარებელ საგანს.

8. რაიონის მილიციის უფროსმა, როდესაც იგი აწერილ ქონებას საჯარო ვაჭრობამდე შესანახად გადასცემს მენარჩენს ან საგანგებოდ დანიშნულ პირს, უნდა გააფრთხილოს იგი, რომ ამ ქონების გაფლანგვისათვის დაისჯება სახალხო სასამართლოს მიერ ისევე, როგორც დაისჯება თანამდებობის პირის მიერ გაფლანგვისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის მე-116 მუხ. ძალით.

9. იძულებითი ღონისძიება სახელმწიფო დაწესებულების წინააღმდეგ ადგილოვრივმა დამზღვევმა კასამ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი ამაზე წინასწარ მოელაპარაკება სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს.

შრომის სახ. კომისარი **ლ. დუმბაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მაგ.

ი. ტალახაძე.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ი. ვარძიელი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე კომ. პარტ. ტფილისის კომიტეტის ბინაზე იწვევს საქართველოს კომუნისტური პარტიის, კომუნისტ ახალგაზრდ. კავშირის და ტფილისის სამხედრო სასწავლებელთა სამმართველოს ბიუროების გაერთიანებულ სასწრაფო სხდომას. (სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია და სხვ.).

მოწვეულნი არიან: ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე, წარმომადგენელნი ცენტრალურ კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის კომუნ. ახალ. კავშარისა, სახალხო განათლების კომისარიატისა, პროფკავშირთა საბჭოსი და პერსონალურად შემდეგი ამხანაგები: ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, გერასიმოვი, ეზიაშვილი.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის კომუნისტურ სტუდენტობის ბიუროს მდივნის ამხ, ვოსკანიანისა „კომუნისტური სტუდენტობის უახლოეს ამოცანებზე". 2) მიმდინარე საქმეები.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტ. სააგ.-საპრ. განყოფილება.

დადგენილება № 28.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა. პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და მშრომელთა იმ ოჯახების წევრთათვის, რომლებმაც დაჰკარგეს მარჩენალი და აგრეთვე დამატებითი სახეთა (მოსავლელად, საკვებათ და დასასაფლავებლად) და უმუშევრობისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ, ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის და სრ. რუს. პროფ. კავშირის ცენტ. საბჭოს ა. კ. ბიუროს ა. წ. 20 ივლისის თარიღით გამოქვეყნებული დადგენილება № 68 თანახმად, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი **ადგენს:**

1. შრომის ინვალიდთა და დაზღვეულის მარჩენალის გარდაცვალების და უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრთა, უმუშევართა და აგრეთვე დამატებითი სახეთათვის დახმარების ნორმების გამოსაანგარიშებლად, ა-წ. აგვისტოსათვის საქ, ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე და წესდეს 8 მან. 31 კაპ. (რვა მანეთი ოცდა ერთი კაპ.) საქონლის მანეთებში, რაც ა-კ. ფულის ნიშნებით შეადგენს—19,634,625 მან. (ცხრამეტ მილიონს, ექვსას ოცდა თოთხმეტს ათასს სამას ოცდახუთ მანეთს).

2. დამზღვევ კასებს ადგილობრივად ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაზღვეულთათვის დახმარებათა გამოსაანგარიშებლად იხელმძღვანელონ ზემო-აღნიშნულ ხელფასი (19,634,625 მან.) როგორც მაქსიმალური, ამის შესახებ არსებულ ფორმებისა და კატეგორიების მიხედვით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარის მოადგილე

ა. მიქაძე.

რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოს უფროსი

კ. ცომაია.

——

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წლ. 8 აგვისტოსათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოსა ა. წ. 1 მაისის დადგენილებისა № 52 საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე, ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ა. წ. 8 აგვისტოსათვის განისაზღვროს 4,065,700 მ. ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 4,065.700—მან. ა. კ. ფულის ნიშნებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

——

დადგენილება № 104

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის

ლატარეა-ალეგრის მონოპოლიის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ლატარეა-ალეგრის მოწყობის უფლება მიენიჭოს მარტოოდენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

2 სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ენიჭება უფლება თავის სასარგებლოდ გარდაახდევინოს ლატარეა-ალეგრის მომწყობს ფულადი გამოსაღები იმ რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება სოციალური-უზრუნველყოფის სახალხო კომისარის მიერ.

3 ლატარეა-ალეგრის მოწყობის ნებართვა გასცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4 სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაევალება შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით შეიმუშაოს ლატარეა-ალეგრის მოწყობის წესები.

5. ლატარეა-ალეგრის მოწყობა, გარეშე ამა დადგენილებაში აღნიშნული წესისა და რიგისა, აკრძალულია და დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლისამებრ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: **ალ. სალარიძე.**

1923 წ. აგვისტოს 9.

ტფილისი სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 532 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, ტრუბნიჩნაიაზე № 4.